<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ტელეოპერატორის, სტან სტორიმანსის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ტელეოპერატორის, სტან სტორიმანსის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ნნორიანელის ქუჩა
I ავენიუ
II ავენიუ
III ავენიუ
IV ავენიუ
V ავენიუ
VI ავენიუ
VII ავენიუ
VIII ავენიუ
IX ავენიუ
X ავენიუ
NAPR
1 : 4369
7657,41.743453

სტან სტორიმანსი

(1969-2008)

ჰოლანდიელი ტელეოპერატორი, RTL-TV -ის თანამშრომელი, დაიღუპა აგვისტოს ომის დროს, გორის დაბომბვისას.

ჰოლანდიელი ოპერატორი სტან სტორიმანსი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთის ავიაციის მიერ 12 აგვისტოს გორის კასეტური ჭურვებით დაბომბვას ემსხვერპლა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. ბომბი მოხვდა მედიაცენტრთან ახლოს, რომელიც ქალაქის ტელევიზიისა და რადიოს ცენტრის სახურავზე იყო განთავსებული.

სხვა მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად დაიჭრნენ სტორიმანსის ჰოლანდიელი ჟურნალისტი იერონ აკერმანსი და მათი ებრაელი კოლეგა ცადოკ იეჰეცკელი. აგვისტოს ომის ქრონიკა, ფოტო და ვიდეო მასალებიც ჟურნალისტების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ფასადაა მოპოვებული, რომლებიც ტყვიების ცეცხლში იდგნენ და იქიდან მთელ მსოფლიოს უყვებოდნენ, რა ხდებოდა საქართველოში.

ის იყო ვეტერანი ოპერატორი. გეგმავდა წიგნის გამოქვეყნებას, რომელშიც აღწერდა მის 20 წლიან რეპორტაჟებს ისეთ წერტილებზე, როგორებიცაა ავღანეთი, კონგოს რესპუბლიკა, ინდონეზია, ერაყი, შრი-ლანკა.

დაარსდა სტორიმანსის სახელობის სტიპენდია, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.